ფულადი ვალდებულებების შესრულების წესი ფულადი ერთეულის კურსის ცვლილების დროს

ავტორი: მზია ქვაჭრელიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში მაგისტრის ხარისხის

მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართლის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია სულხანიშვილი (სამართლის დოქტორი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია კვლევის დარგობრივ-სისტემური ანალიზი, რომელიც ხაზს უსვამს ფულის, როგორც საყოველთაო გაცვლის საშუალების და როგორც საჯარო ვალდებულებების შესრულების ეკონომიკური ერთეულის გადაფასების დაუშვებლობას. ძირითადი აქცენტები გაკეთებულია იმ ფაქტორებზე, რომლებიც თან ახლავს ფულის ერთეულის კურსის ცვლილებას, რომლებიც არ ცვლის ფულის ფუნქციურ დანიშნულებასა და ნომინალურ ღირებულებაში დაფიქსირებული ვალდებულების მოცულობას. ნაშრომის მნიშვნელოვან ნაწილს იკავებს ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული საერთო სასამართლოების პრაქტიკის ანალიზი.

წინამდებარე კვლევის საფუძველზე ხაზი გაესვა იმ არაერთგვაროვან მიდგომებს, რომლებიც თან ახლავს ფულადი ვალდებულებების შესრულების წესს. ასევე, კანონმდებლობაში გამოიკვეთა ის ბერკეტები, რომლებიც ერთგვარად იცავს მოვალის ინტერესს და ანიჭებს მას უფლებამოსილებას, კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით, უზრუნველყოს ხელშეკრულების შეცვლილ გარემოებებთან მისადაგება ფულადი ვალდებულების შესრულების დროს.

Abstract

The study discusses industrial-systematic analysis of research which highlights inadmissibility of revaluation of money, as universal medium of exchange and as an economic unit for performance of public obligations. Main emphasis is put on those factors, which follow change of monetary unit, which do not change functional purpose of money and quantity of obligation established in the nominal price. Significant part of the study is analysis of practice of general courts in relation to the abovementioned issues.

Inconsistent approaches, which follow performance order of monetary obligations, were highlighted on basis of the present research. Also, those levers, which defend interests of the debtor and grant him authorization under the legislation and court practice to ensure adaptation of the contract to the changed circumstances during performance of the obligations, were revealed in legislation.